ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 12 იანვრის ბიუროს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 იანვრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: დავით კიკნაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 12 იანვრის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №1

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15

12 იანვარი 2022 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა - დავით კიკნაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

პაატა გოგოლაძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

ამირან ოქრომჭედლიძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ,

პავლე კიკალიშვილი საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

ბესიკი კვირიკაშვილი - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

მარინე ხვედელიძე- საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე,

შმაგი ხიჯაკაძე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ლურსმანაშვილი ფრაქცია ,,ქართული ოცნება –დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე

მერიის წარმომადგენლები:

პეტრე შარიქაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი,

მაია ალავიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი,

ნინო მაღლაკელიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მ. შაეიქაძე -ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს ჟურნალისტი ,

მ. შათირიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი,

ნ. კაპანაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთის" ჟურნალისტი,

ს. გლუნჩაძე - ოპერატორი,

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,
ზ. ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის დავით კიკნაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 იანვრის

საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: დავით კიკნაძე

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

   მომხს: ნინო მაღლაკელიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ხევში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების 300 კვმ. მიწის ნაკვეთის (ს/კ36.05.33.322), სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ,

   მომხს: მაია ალავიძე

3. 2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ კონკურსში წარსადგენად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო იდეების მოწონების შესახებ

   მომხს: პეტრე შარიქაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **ნინო მაღლაკელიძე** ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს:

შ. ლურსმანაშვილმა ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს"თავმჯდომარემ რომელიც დაინტერესდა საბიუჯეტო ცვლილებები თუ ითვალისწინებდა გზების რეაბილიტაციას

ნ. მაღლაკელიძემ მომსხენებელმა უპასუხა, რომ გზებიც არის გათვალისწინებული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2022 წლის 13 იანვრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2022 წლის 13 იანვრის სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალა, საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო და ეკონომიკის ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიებს

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მაია ალავიძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ხევში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების 300 კვმ. მიწის ნაკვეთის (ს/კ36.05.33.322), სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ,

აზრი გამოთქვეს:

შ. ხიჯაკაძემ- საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც დასვა შეკითხვა, ხევში საექიმო ამბულატორია ახალი შენდება თუ ძველის რეაბილიტაცია ხდება ასევე დაინტერესდა სამედიცინო კადრებით.

მ. ალავიძემ მომხსენებელმა განუმარტა, რომ ავტობანის მშენებლობის გამ ძველი შენობა დაინგრა, მიმდინარეობს ახლის მშენებლობა და ამბულატორიის ექიმები ამ დროისათვის იმყოფებიან ნაქირავებ ბინაში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2022 წლის 13 იანვრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2022 წლის 13 იანვრის სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალა, საკრებულოს ეკონომიკის ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიას

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის პეტრე შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე -2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ კონკურსში წარსადგენად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო იდეების მოწონების შესახებ

აზრი გამოთქვეს:

დ. კიკნაძემ, სხდომის თავმჯდომარემ, მომხსენებლის მისამართით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დანართით ირკვევა, რომ ორ შემთხვევაში პროექტი არ არსებობს, უმჯობესი იქნებოდა პროექტი იყოს და შესაძლებელია სხვა ფონდებიდანაც გამოჩნდეს დამფინანსებელი.

პ. კიკალიშვილმა, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რამდენჯერმე ჩემს მიერ დასმული იყო წინადადება დევის გამოქვაბულთან მისასვლელი გზის და იქ სხვა სახის ინფრასტრუქტურის მოწყობის თაობაზე, რადგან ეს იქნება კარგი ტურისტული ობიექტი, იქნებ ახლა მაინც გავაკეთოთ პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2022 წლის 13 იანვრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2022 წლის 13 იანვრის სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალა, საკრებულოს ეკონომიკის ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიას

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს 2022 წლის 13 იანვრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 იანვრის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2021** წლის 16 დეკემბრის **N24** დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის **2022** წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

   მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ხევში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების 300 კვმ. მიწის ნაკვეთის (ს/კ36.05.33.322), სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ,

   მომხს: მაია ალავიძე

3. **2020 – 2022** წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ კონკურსში წარსადგენად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო იდეების მოწონების შესახებ

   მომხს: პეტრე შარიქაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი დავით კიკნაძე